პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 130 (1300) ○ ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

# მხურვალე სალამი პოლონელ სტუმრებს!

28 ოქტომბერს კვლავ მოირთო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. ქუჩებსა და მოედნებზე, აეროპორტისაკენ მიმავალ გზაზე ფრიალებდნენ პოლონეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ალმები, წითელ ქსოვილებზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც სალამს უძღვნიდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ მოძმე პოლონელი ხალხის წარმომადგენლებს — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვლადისლავ გომულკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ზავადსკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იუზეფ ცირანკევიჩს და მათ თანმხლებ პირებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, კ. ნ. გალიცკი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე და სხვ.

საჰაერო ხომალდი „ტუ-104“ აეროდრომზე დაეშვა.

თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე ძვირფას სტუმრებს მიესალმებიან ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. თბილისელმა პიონერებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს პოლონელ ამხანაგებს. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარემ ვ. გომულკამ მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. საზეიმოდ ჟღერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი, რომელიც შეცვალა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდიებმა. პოლონეთიდან ჩამოსული სტუმრები გულთბილად მიესალმებიან აეროდრომზე შეკრებილთ. გაისმის მისასალმებელი შეძახილები. მიკროფონთან მიდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, რომელიც მიესალმება ძვირფას სტუმრებს. საპასუხო სიტყვას ამბობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის თავმჯდომარე ვ. გომულკა.

მანქანების კოლონამ, რომელშიც არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, მათი თანმხლები პირები, დედაქალაქისაკენ აიღო გეზი. ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე შეკრებილი ათიათასობით თბილისელი მხურვალედ მიესალმება მოძმე პოლონელი ხალხის წარმომადგენლებს.

28 ოქტომბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ვიზიტი გაუკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. დ. ჩუბინიძეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს. ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ამ დღესვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში გაიმართა სადილი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად.

* * *

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხალხთა მეგობრობას.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ მთავრობის ტრიბუნაზე ძვირფასი სტუმრების, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გომულკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ა. ზავადსკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის, მათ თანმხლებ პირთა გამოჩენას.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

მიტინგზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საელმავლო დეპოს მემანქანე გ. ბოგვერაძე, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. მხეიძე, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ლექტორი ს. რავიჩი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ი. კირიჩენკომ.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ.



ამას წინათ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო მოტორბოლა, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ პოლონელი მოტოციკლისტები.

სურათზე: მარცხნიდან — ზ. კალუჟა, მ. ხმელი, ლ. შუბერტი, რ. ჟურავეცკი, ე. კუროჩკა, ფ. სტახევიჩი.

# ალორძინების გზით

მატერიალური დონის ამაღლებასთან ერთად ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა პოლონეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ომისშემდგომი სიძნელეები გამოწვეული იყო არა მარტო ომით გამოწვეული კოლოსალური ზარალით, არამედ ომამდელი პოლონეთის ბურჟუაზიული სპორტის გადმონაშთებითაც, რაც შეგნებულად ამუხრუჭებდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას მოსახლეობის ფართო ფენებში.

საპროგრამო დოკუმენტს, რომელშიც შეჯამებულია ფიზკულტურული ორგანიზაციების მოღვაწეობა 1944-49 წლებში და დასახულია მითითებანი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის, წარმოადგენს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება, რომელიც მიღებული იქნა 1949 წლის სექტემბერში.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოციალიზმისკენ მიმავალი პოლონეთი უნდა იყოს ძლიერი და ჯანმრთელი ადამიანების ქვეყანა, რომლებიც მზად იქნებიან შრომისა და პოლონეთის საზღვრების დაცვისათვის. 1950 წელს შედგა ახლად შექმნილი ფიზიკური კულტურის მთავარი კომიტეტის საზეიმო სხდომა, ხოლო იმავე წლის აპრილში მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება მზთ კომპლექსის — სპო-ს შესახებ.

ფიზკულტურული მუშაკების მომზადებას ემსახურება ოთხი უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის ფიზიკური აღზრდის აკადემია ვარშავაში. შეიქმნა ფიზკულტურული ტექნიკუმები სტალინოგრადში, შეცინში, გდანსკში და, გარდა ამისა, ფართოდაა გამოყენებული ფიზკულტურული კადრების მოსამზადებელი კურსები. 1953 წლის ივნისიდან შემოღებულია სპორტული კვალიფიკაციის ახალი გაზრდილი ნორმები, რამაც კიდევ უფრო გააქტიურა სპორტსმენთა ტექნიკური არსენალი.

გაიზარდა პოლონელი სპორტსმენების წარმატებანიც საერთაშორისო შეხვედრებში. 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივე ზიგმუნდ ხიხლამ პოლონეთის კრივის ისტორიაში პირველმა მოიპოვა ოქროს მედალი. განსაკუთრებით ძლიერი იყო პოლონელ მოკრივეთა გამოსვლა ევროპის მე-10 ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდა სპორტსაზოგადოება „გვარდიის“ მიერ ახლადაგებულ სპორტულ დარბაზში. ამ შეჯიბრებაზე პოლონელებმა ხუთი ოქროს, ორი ვერცხლის მედალი და საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს.

III მეგობრულ თამაშებზე მძლეოსნობაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე 4-ჯერ ავიდნენ პოლონელი სპორტსმენები. ყველაზე სწრაფი 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის აღმოჩნდა მარიან ფოიკი; იანუშ სიდლოს გარდა ვერც ერთმა შუბის მტყორცნელმა ვერ გადალახა 80-მეტრიანი ზღვარი (80, 12 მ); სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო იყო ჰენრიხ გრაბოვსკი, ხოლო პოზნანელი სტუდენტის თადეუშ კაზიმირსკის მიერ ნაჩვენები შედეგი 800 მეტრზე რბენაში — 1.48,2 წამი პოლონეთისა და თამაშების ახალ რეკორდს წარმოადგენდა.

პოლონელმა მძლეოსნებმა თავიანთი ძალა მიმდინარე წლის აგვისტოში სტოკჰოლმში გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც დაამტკიცეს, სადაც მოიპოვეს 7 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი და მე-4 ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის, ინგლისისა და გერმანიის გუნდების შემდეგ. მათ შორის აღსანიშნავია სამხტომში გამარჯვებული ი. შმიდტი, რომელიც გადახტა 16,43 მ-ზე და უკან მოიტოვა მსოფლიო რეკორდსმენი ო. რიახოვსკი (სსრ კავშირი), დაბრკოლებებით 3.000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ე. ხრომიკმა.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ამაღლდა პოლონელ მოცურავეთა კლასი. ცურვის ისტორიაში პირველად ჩაიწერა პოლონელის გვარი მსოფლიოში უძლიერესთა შორის. ეს იყო ბრასის სტილით მოცურავე მარეკ პეტრუსოვიჩი.

ფეხბურთის განვითარებისათვის 1956 წელს გაიხსნა ოსტატ ფეხბურთელთა მოსამზადებელი სამწლიანი კურსები, სადაც ღებულობენ 17-20 წლის მზარდ ახალგაზრდებს, რომელთა საწვრთნელი ბაზა ვროცლავის ოლიმპიური სტადიონია. გდანსკში გახსნილია ჭაბუკ მოკრივეთა სპეციალიზებული სკოლა. სპორტსაზოგადოება „გვარდიის“ მიერ დაარსდა მძლეოსანთა მოსამზადებელი სკოლა ქ. ბიდგოშში, მოცურავეებისა — ქ. ბიტომში და მოთხილამურეებისა ქ. ზაკოპანში.

ძნელია ყველა იმ მიღწევათა გადმოცემა, რასაც პოლონელმა სპორტსმენებმა მიაღწიეს ამ უკანასკნელ წლებში. ისინი დაუღალავად მუშაობენ თავიანთი სპორტული ოსტატობის სრულყოფაზე და დღითიდღე იმაღლებენ თავიანთ სპორტულ პრესტიჟს საერთაშორისო სარბიელზე.

## მეგობრობის ფურცლები

„ლელოდან—ისინდამდე“. ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი გასულ წელს ჟურნალ „სპორტოვეცში“ საქართველოდან პოლონეთში დაბრუნებულმა ჟურნალისტმა კრისტოფ ბლაუტჰმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ: „ძლიერია სპორტი საქართველოში — მუდმივი თოვლისა და მარადმწვანე მცენარეების ქვეყანაში. ნუ დაივიწყებთ, რომ 3,5-მილიონიანი საქართველო მეხუთე ადგილზეა საბჭოთა კავშირის სპორტულ მიღწევათა ცხრილში და მასთან შედარებით ბევრად უფრო დიდ რესპუბლიკებს უსწრებს წინ“.

ამ წერილის საწინდარი მარტო ხალხთა სპარტაკიადაზე მოპოვებული მე-5 ადგილი როდია. პოლონელ სპორტის გულშემატკივრებს სხვისგანაც მოუსმენიათ და საკუთარი თვალითაც ბევრჯერ უნახავთ ქართველი სპორტსმენები ასპარეზზე. ფეხბურთის მოყვარულთ კარგად ახსოვთ თბილისის დინამოელთა შესანიშნავი ტურნე პოლონეთში 1951 წელს. 3 წლის შემდეგ კი პოლონელი ფეხბურთელები საქართველოში საპასუხო მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდნენ.

# საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

10 კილომეტრზე რბენით დამთავრდა მძლეოსანთა საკავშირო 31-ე გუნდური პირველობის პირველი დღე. ამ დღის შეჯიბრების პროგრამა ამოიწურა, მაგრამ მრავალრიცხოვანი მაყურებელი არ სტოვებდა სტადიონის ტრიბუნებს. ყველას სურდა დასწრებოდა შეჯიბრების საზეიმო გახსნას, პარადზე ენახათ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები, რომლებმაც მიმდინარე სეზონში ორი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს — მოსკოვში დაამარცხეს მსოფლიოში უძლიერესი ამერიკის შეერთებული შტატებისა, ხოლო საკუთარ მოედანზე — დასავლეთ გერმანიის მძლეოსნები.

სტადიონის ცენტრალურ შემოსასვლელში გამოჩნდა სპორტსმენთა კოლონა, რომელსაც წინ მოუძღოდა შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი კ. მალიშკოვი.

კოლონა მოეწყო ცენტრალური ტრიბუნის წინ. კომანდორი პირველობის მთავარ მსაჯს მ. ტომილინს უპატაკებს გუნდების მზადყოფნას.

შეჯიბრების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზ. ქვაჭაძემ.

საბჭოთა კავშირის ჰიმნის დიდებული მელოდიის ქვეშ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშა ანძაზე აღიმართა.



ს უ რ ა თ ზ ე: 10.000 მეტრზე რბენაში გამარჯვებული პ. ბოლოტნიკოვი.

## მესამე ცდაზე

როცა ვაჟთა სიმაღლეზე ხტომაში თამასამ აიწია 2 მეტრსა და 13 სანტიმეტრზე, მძლეოსანთაგან დარჩა მხოლოდ ერთი — რ. შავლაყაძე (საქართველო). მისი სამივე ცდა წარუმატებლად დამთავრდა და ქართველ მძლეოსანს ჩათვლაში დარჩა წინა სიმაღლე — 2 მ 09 სმ, რომელმაც რ. შავლაყაძეს მოუტანა ღირსეული პირველი ადგილი.

ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ საინტერესოა, როგორ წარიმართა ბრძოლა თავიდან და როგორ მიაღწია თამასამ 213 სანტიმეტრს.

სიმაღლე 195 სმ შავლაყაძემ აიღო პირველივე ცდაზე, გამოუშვა 2 მ, დაძლია 206 სმ პირველ ცდაზე და მესამე ცდაზე აიღო 209 სმ.

პირველი ადგილი ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაზე ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი წარმატებაა.

2 მეტრი დაძლია ოთხმა სპორტსმენმა, მაგრამ ცდათა რაოდენობის მიხედვით მათ შორის ადგილები ასე განაწილდა: ვ. ბულკინი (ლენინგრადი), გ. ლოლობერიძე (ბელორუსია), ე. ილუცკი (ლენინგრადი), ვ. ხოროშილოვი (რსფსრ).

## 6 მეტრი და 1 მხტომელი

ქალთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში დამთავრდა ისე, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები არ მოხვდრიან პირველ ხუთეულში. ეს თავისთავად ცუდი მაჩვენებელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ გამარჯვებულებსაც არა აქვთ მაინცდამაინც სახარბიელო შედეგები, აშკარად სახეზეა ჩვენი წარუმატებლობა ამ სახეობაში.

მართლაც, მხოლოდ ერთმა მონაწილემ, ლენინგრადელმა ვ. შაპრუნოვამ შეძლო 6-მეტრიანი ზღვარის გადალახვა, ისიც მხოლოდ ორ ცდაში — 6 მ 06 სმ და 6 მ 09 სმ. ეს მეორე შედეგი საუკეთესო აღმოჩნდა ამ შეჯიბრებაში.

დანარჩენები „შორიახლო" უვლიდნენ 6-მეტრიან ზღვარს. მეორე ადგილზე გამოსული ნ. პროტჩენკო (რსფსრ) მხოლოდ 5 მეტრსა და 96 სანტიმეტრზე გადახტა, ხოლო ნ. ფროლოვამ (მოსკოვი) შედეგით 5 მ 83 სმ მესამე ადგილი დაიკავა.

საინტერესოა მოვიყვანოთ ასეთი შედარება. ლ. რადჩენკო (უკრაინა) გადახტა 5 მეტრსა და 69 სანტიმეტრზე და გამოვიდა მე-5 ადგილზე. გასული წლის შედეგების მიხედვით ასეთი მაჩვენებელი სულაც არაა ფიქსირებული პირველ 30 საუკეთესოთა შორის, ახლა კი ამ ერთობ დაბალმა ნახტომმა ლ. რადჩენკოს მე-5 ადგილი მოუტანა.

## გათამაშდა ოქროს მედალი

მიმდინარე წლის პირად ჩემპიონატში, რომელიც ტალინში ჩატარდა, არ გათამაშებულა ოქროს მედლები 10.000 და 200 მეტრზე რბენაში, ათჭიდსა და ესტაფეტებში. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისში ზემოაღნიშნულ სახეობათა წარმომადგენლებს ორმაგი ჯაფის გადატანა უხდებათ.

10.000 მეტრზე რბენის მონაწილენი, რომლებმაც უკვე მოასწრეს კუნთების გახურება, მოეწყვნენ სტარტზე მსაჯის ნიშნის მოლოდინში. ერთი ორი წლის წინათ ამ სტაიერულ დისტანციაზე გამარჯვებულის გამოცნობა მარტივზე მარტივი საქმე იყო. ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა ერთსა და იმავეს იტყოდა: გამარჯვება კუცის იქნებაო. მაგრამ ეს სახელოვანი სპორტსმენი უკვე კარგა ხანია ბრძოლის სარბიელზე არ ჩანს. მისი გვარი მხოლოდ მსოფლიოს რეკორდების ცხრილშია აღნიშნული.

კუცის გვირგვინი მემკვიდრეობით მეორე მოსკოველმა სტაიერმა პ. ბოლოტნიკოვმა მიიღო, და უნდა ითქვას, რომ მიიღო იგი სავსებით მტკიცედ. ბოლოტნიკოვს, თავისი სახელოვანი წინამორბედის მსგავსად, არ უყვარს მოწინააღმდეგის ზურგი და ყოველთვის ულმობელ წუთებთან ბრძოლას არჩევს რაიმე ტაქტიკურ „მანევრებს".

ბოლოტნიკოვი ამჯერადაც თავისი სტილის ერთგული დარჩა. სტარტიდანვე ჩაუდგა იგი ბრძოლის სათავეში და „კუცისებური" მანერით წაიყვანა რბენა. პირველ კილომეტრებზე მოსკოველს დაედევნა სტაიერთა დიდი ჯგუფი, მაგრამ მათში საიმედონი იყვნენ მხოლოდ ა. დესიატჩიკოვი (მოსკოვი), ე. ჟუკოვი (ლენინგრადი) და კიდევ ერთი-ორი სპორტსმენი.

დაახლოებით შუა დისტანციის შემდეგ ჯგუფი გაიცხრილა, მონაწილენი ჯაჭვად განლაგდნენ სარბენი ბილიკის ოვალზე, ავანგარდში აღმოჩნდნენ მხოლოდ ღირსეულები, ისინი, ვინც ნამდვილად საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდნენ. წინ კვლავ ბოლოტნიკოვი იყო, რომელიც არაჩვეულებრივად მსუბუქად, ზომიერად და რიტმულად ნთქავდა ყოველ ახალ მეტრს. ერთი რამ იყო კიდევ შესამჩნევი ლიდერის რბენაში — ბოლოტნიკოვი ყოველ კილომეტრს გადიოდა ისე, თითქოს ეხლა დაიწყო რბენაო.

ოქროს მედლის ბედი ფაქტიურად გამორკვეული იყო — იგი თითქოს უკვე ბრწყინავდა მოსკოველი სტაიერის მკერდზე. ნამდვილი „საშვილიშვილო" ბრძოლა ჰქონდათ გამართული ვერცხლის მედლის პრეტენდენტებს—ე. ჟუკოვსა და ა. დესიატჩიკოვს. როდესაც ამ ორი სტაიერისათვის ნათელი გახდა, რომ ლიდერი მიუწვდომელია, დესიატჩიკოვმა ძლიერი ბიძგით აუარა გვერდი ლენინგრადელს და მესამიდან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ეს თანამიმდევრობა უცვლელი დარჩა ფინიშამდე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება, ოქროს მედალი და წითელი მაისური მოიპოვა მოსკოველმა პ. ბოლოტნიკოვმა — 29.06,8. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი წილად ხვდა გამარჯვებულის თანაგუნდელს ა. დესიატჩიკოვს — 29.19,8. ლენინგრადელი ე. ჟუკოვი დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით — 29.23,4.

## სულ ახლოს 18 მეტრთან

ახალი საკავშირო რეკორდი. ეს დიდი პატივია ყოველი სპორტსმენისათვის და ამ ახალი რეკორდის დამყარება მიმდინარე შეჯიბრებაზე წილად ხვდა სომეხ სპორტსმენს ვ. ოვსეპიანს. იგი კარგა ხანია უახლოვდება 18-მეტრიან ზღვარს და ახლა სულ ახლოს მივიდა ამ ციფრთან. მის მიერ ნაკრავი ბირთვი დაეცა 17 მეტრსა და და 93 სანტიმეტრზე. მეორე ადგილი დაიკავა ლიტველმა ა. ვარნაუსკასმა — 17 მ 81 სმ, (ლიტვის ახალი რეკორდი) მესამე — ვ. ლოშჩილოვმა (რსფსრ) — 17 მ 02 სმ.



ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ოვსეპიანი, რომელმაც ბირთვის კვრაში დაიკავა პირველი ადგილი და საბჭოთა კავშირის რეკორდიც დაამყარა.

## ორჯერ—10,3

როდესაც 100 მეტრზე რბენის ნახევარფინალში ახალგაზრდა ლენინგრადელმა სპრინტერმა ე. ოზოლინმა აჩვენა 10,3 წამი, ბევრმა იგი ბედნიერ შემთხვევად მიიჩნია. საქმე იმაშია, რომ ასეთი სისწრაფით არც ერთ საბჭოთა მძლეოსანს არ გაურბენია 1951 წლამდე. ვ. სუხარევი იყო იმ საკავშირო რეკორდის ავტორი (10,3), რომელიც დღესაც ძალაშია და საერთაშორისო კლასის შედეგად ითვლება.

ასეთ პირობებში ახალგაზრდა ლენინგრადელის წარმატება მართლაც ბედნიერი შემთხვევა იქნებოდა, რომ ოზოლინს იქვე არ დაემტკიცებინა ამ გამოთქმის უსაფუძვლობა. ნახევარფინალში გამარჯვების შემდეგ მან კიდევ ერთხელ აიღო სტარტი — ამჯერად ფინალში და კვლავ 10,3 უჩვენა. ეს უკვე ბედნიერი შემთხვევა არაა. მითუმეტეს, ლენინგრადელმა უკან ჩამოიტოვა ბაქოელი ი. კონოვალოვი (10,4), მოსკოველი ი. ბაშლიკოვი (10,4)) და უკრაინელი ლ. ბარტენიევი — 10,5. ქალთა სპრინტის ფინალში გაიმარჯვა უკრაინელმა ვ. კრეპკინამ.

ორი რესპუბლიკური რეკორდით აღნიშნეს ჩემპიონატის პირველი ორი დღე საქართველოს მძლეოსნებმა: ა. ოვივიანმა 400 მეტრი გაირბინა 58,1, ხოლო ნ. სერგეევმა 10.000 მეტრი დაფარა 30.55,0.

გუშინ გათამაშდა კიდევ რამდენიმე ფინალი. ქალთა შორის რბენა 400 მეტრზე მოიგო ზ. კოტოვამ (ლენინგრადი) — 56,1, 110 მეტრზე თარჯრბენი — ა. მიხაილოვმა (ლენინგრადი) — 14,0, ბადრო (ვაჟთა შორის) ვ. ტრუსენიოვმა — 56 მ.

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ბირთვის კვრაში ლენინგრადელმა გ ზიბინამ. მისი ყოველი ცდა 16 მეტრზე უფრო შორს იყო, ხოლო საუკეთესო — 16 მ. 66 სმ.

გაზეთ „ლელოს" ბრიგადა



ს უ რ ა თ ზ ე: რ. შავლაყაძე იღებს სიმაღლეს.

## პრიზები მოიპოვეს ც. აბუაშვილმა და ს. ბუჩნოვმა

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში შედგა საქართველოს ფრენბურთელთა შეჯიბრების დასკვნითი, მეოთხე ტური, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე.

მოედანზე გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების ვაჟთა გუნდები. მათ შეხვედრაში წყდებოდა საკითხი — შეძლებენ თუ არა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები მოწინააღმდეგეთა დამარცხებას და ამით, პირველობისათვის გარკვეული შანსების მოპოვებას. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებმა (3:2), რომლებიც პირველ ადგილზე გამოვიდნენ შეჯიბრებაში.

ასეთივე მდგომარეობა ჰქონდათ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდებს, რომლებიც ერთმანეთს ხვდებოდნენ დასკვნით ტურში. შეხვედრა მომავალმა ინჟინრებმა ძლიერად ჩაატარეს და მოიგეს ანგარიშით 3:0.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, შეჯიბრებაზე დაწესებული იყო პრიზები უძლიერეს ქალ და ვაჟ ფრენბურთელზე. ეს პერსონალური პრიზები მოიპოვეს უნივერსიტეტის ქალთა გუნდის წარმომადგენელმა — ც. აბუაშვილმა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის წევრმა ს. ბუჩნოვმა.

ლ. თუშიშვილი

ლელო

მე-2 გვ. № 130 (1300)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერიოზული გამოცდის წინ



ს უ რ ა თ ზ ე: გამარჯვებული ტანმოვარჯიშეები კვარცხლბეკზე. შუაში — საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი რ. კაჰახიძე, მარცხნივ—მეორე ადგილზე გამოსული ნ. მაკალათია, მარჯვნივ — ა. ნარიმანოვი. ქვევით — საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ქალთა შორის ჟ. ქაჯაია.



Დამთავრდა საქართველოს 1958 წლის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ძალთა გენერალური, მეტად სერიოზული გამოცდა მომავალი საკავშირო ჩემპიონატის წინ.

სანამ შევუდგებოდეთ რესპუბლიკური პირველობის ტექნიკური შედეგების განხილვას, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება გამოვთქვათ ჩვენი აზრი ტანვარჯიშულ იარაღებზე განვლილ ბრძოლათა შესახებ. რა სურათი გვაქვს დღეს შარშანდელთან შედარებით, რა პერსპექტივები გაგვაჩნია სახვალიოდ?

პირველი, რაც ყველაზე უფრო შესამჩნევი და სასიხარულოა, ესაა ის, რომ ოსტატთა პროგრამით მონაწილე ქალთა და ვაჟთა შორის ხელსახებია აშკარა პროგრესი და წინსვლა. ჩვენი წამყვანი ტანმოვარჯიშეები შედარებით უფრო სტაბილურ, მაღალ შედეგებს აჩვენებენ ყველა იარაღზე, უფრო დამაჯერებლად და დახვეწილად ასრულებენ ვარჯიშებს. თქმა არ უნდა, ეს პროგრესი შედეგია იმისა, რომ რესპუბლიკის საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა წვრთნა ამ ბოლო ხანებში წარმოებს ცენტრალიზებული წესით, ერთობლივად, გამოცდილი მწვრთნელების სისტემატური და კვალიფიციური ხელმძღვანელობით. ამან დღეისათვის უკვე გამოიღო სასურველი შედეგი და იმედია, მომავალისათვის, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მათი მაჩვენებლები კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

მაგრამ ეს წინსვლა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სპორტულ ტანვარჯიშში ჩვენ ყველაფერი წესრიგში გვაქვს. ის, რაც წელს შარშანდელზე უკეთესია, შეიძლება მომავლისათვის საკმარისი არ აღმოჩნდეს დიდ ასპარეზზე. ამ შემთხვევაში ჩვენ „თვალი უნდა გვეჭიროს" უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-სა და სხვა საუკეთესო გუნდებზე.

საჭიროა მოზრდილთა შორის განვამტკიცოთ ის წარმატებანი, რომლებიც უკვე გვაქვს მოპოვებული მოსწავლეთა სპარტაკიადებზე. ჩვენ ბოლოსდაბოლოს უნდა გამოვიდეთ ამ „ბავშვური ასაკიდან" და ერთხელ და სამუდამოდ ჩავდგეთ უძლიერესთა შორის.

თუ ამ ასპექტში განვიხილავთ საქართველოს განვლილ პირველობას, შევამჩნევთ ბევრ ნაკლოვანებას, შევამჩნევთ მთელ რიგ დასანან ხარვეზებს.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ თვით შეჯიბრება ცუდადაა ორგანიზებული. როგორც წესი, არავინ აკეთებს სარეკლამო ფარებს, აფიშები მზადდება ისე უფერულად და უგემოვნოდ, რომ მათი გამორჩევა თეატრებისა და ფილარმონიის აფიშებიდან მეტად ძნელია, თანაც მათ ქალაქში აკრავენ გვიან, შეჯიბრების დაწყების დღეს. ამის გამო ტანმოვარჯიშეებს მცირერიცხოვანი მაყურებელი ჰყავთ.

არ არის წესრიგი შეჯიბრებას მსვლელობის დროს თვით დარბაზშიც. ტანმოვარჯიშეები არ არიან მკაცრად იზოლირებული მაყურებელთაგან და ეს გარემოება საგრძნობლად უშლის ხელს სპორტსმენებს მობილიზებასა და ყურადღების კონცენტრირებაში.

უკვე დიდი ხანია ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენს ტანმოვარჯიშეებს აკლიათ სიზუსტე და დახვეწილობა ცალკეულ მოძრაობათა შესრულებისას. ისინი ცდილობენ როგორმე მშვიდობიანად დაამთავრონ მთელი კომბინაცია, ხოლო ცალკეულ დეტალებსა და ელემენტებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. აქედან — დიდი რაოდენობის შეცდომები ისეთ წვრილმანებში, როგორიცაა ფეხების გაშლა ან მოღუნვა, თავის დახრა, წონასწორობის დაკარგვა, არამდგრადი დგომი და ა. შ. თვითეული ასეთი „წვრილმანი" მსაჯთა შეფასებაში ძვირი არ ღირს, სულ რაღაც 0,1, 0,2 ქულა, მაგრამ საბოლოო შეჯამებისას ეს „ვალი" ერთად იყრის თავს და უკვე მთლიანი ქულის სახეს ღებულობს.

ჯერ კიდევ ვხვდებით ტიპიურ შეცდომებს, რომლებიც ე. წ. „აქილესის ქუსლს" წარმოადგენს ცალკეულ ტანმოვარჯიშეთათვის. მაგალითად, ვაჟებს ცუდად უჭირავთ შლიბჯენი გამართულ ხელებზე და ჰორიზონტალური წონასწორობა რგოლებზე, სუსტად სრულდება აკრობატული ილეთები თავისუფალ ვარჯიშში. რთულ ტანვარჯიშულ საიდუმლოებებში ჩაუხედავი თვალიც კი იოლად შეამჩნევს, რომ ვაჟთა უმრავლესობა ვერ იცავს წონასწორობას ღერძიდან ჩამოხტომის ან ბჯენითი ხტომის შემდეგ, რგოლები საქანელასავით ქანაობენ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას, ქალები ზედმეტად ნერვიულობენ, ჰკარგავენ რიტმს და ა. შ.

არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ იმასაც, რომ ნებისმიერ პროგრამაში იგრძნობა კომბინაციათა ერთფეროვნება. ეს ეხება ქალებსაც და ვაჟებსაც. განა ჩვენი რჩევა ჭირდება მწვრთნელებს, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ ტანმოვარჯიშეთა ინდივიდუალობა, თავისებურებანი და მეტი ორიგინალობა შეიტანონ თავიანთ აღსაზრდელთა შემოქმედებაში?

და კიდევ ერთი. მოგვიტეხონ მსაჯებმა, მაგრამ ჩვენის აზრით, ზოგ შემთხვევაში ისინი ზედმეტი ლმობიერებითა და გულკეთილობით ეპყრობოდნენ ტანმოვარჯიშეებს. მსაჯის გულკეთილობა, ცნობილია, ესაა ზედმეტი შეფასება, ზედმეტი ქულა. და იშვიათი არაა, რომ შინ მიღებული ამგვარი საჩუქრები ერთობ უარყოფითად მოქმედებს „იქ" — სხვა ქალაქებში მოწყობილ შეჯიბრებებში. რაც უფრო მეტ სიმკაცრეს გამოიჩენენ ჩვენი მსაჯები შეჯიბრების მომსახურებისას, მით უფრო უკეთეს სამსახურს გაუწევენ ტანმოვარჯიშეებს.

დავუბრუნდეთ განვლილ შეჯიბრებას. ქალთა შორის [illegible] ნორმა შეასრულა [illegible] ტანმოვარჯიშემ. ესენია: ჟ. ქაჯაია, ტ. კომისარენკო, მ. ნინოშვილი, ვ. კლიმოვა, მ. ცნობილაძე, თ. ბეთანელი და ე. ბენიძე (ქალები); რ. კაჰახიძე, ი. ბალიაური, ნ. მაკალათია, ა. ნარიმანოვი და თ. მაცუკაშვილი (ვაჟები).

მისასალმებელია ახალგაზრდა ლოკომოტიველი ტანმოვარჯიშის ჟ. ქაჯაიას წარმატება, რომელმაც თანაბრად განვლო ყველა იარაღი და 74,45 ქულით დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მისი საშუალო შეფასება ცალკეულ სახეობაში თითქმის 9,3 ქულას უდრის, მაგრამ ჟ. ქაჯაიას მართებს კიდევ უფრო სერიოზული მუშაობა, რათა ამ ციფრმა 9,6-9,7-ს მიაღწიოს. ასეთივე სტაბილური შედეგები ჰქონდა მეორე ადგილზე გამოსულ დინამოელ ტ. კომისარენკოს (73,9 ქულა), ხოლო მ. ნინოშვილი („დინამო") ორძელზე მიღებულმა დაბალმა შეფასებამ (8,3) მესამე ადგილზე დასწია — სულ 73,75 ქულა.

ვაჟთა შორის უძლიერესი იყო გამოცდილი სატურნიროს მებრძოლი რ. კაჰახიძე (სკო), რომელსაც არა აქვს ჩავარდნა არც ერთ იარაღზე. ამას მოწმობს მისი შეფასებაც — — 111,55 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ნ. მაკალათია („ბურევესტნიკი") — 110,15 ქულა, ხოლო მესამეზე — ა. ნარიმანოვი („დინამო") — 108,95 ქულა.

მისასალმებელია ის, რომ ოსტატობის ნორმა შეასრულეს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებმა თ. მაცუკაშვილმა და ე. ბენიძემ (ეს უკანასკნელი 16 წლის გოგონაა).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: „დინამო", „ბურევესტნიკი", „განთიადი".

ნოემბრის დასასრულს მოსკოვში გაიმართება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდი გამოვა უკეთესად, ვიდრე გასულ წლებში. მაგრამ ეს არაა საკმარისი. ამჟამად პრაქტიკაში დანერგილი წვრთნის მეთოდები, ახალგაზრდათა პერსპექტივობა იმედს გვაძლევს, რომ გამოსწორდება აღნიშნული ნაკლოვანებებიც და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე ჩვენ დავიკავებთ ღირსეულ ადგილს.

**თ. სანებლიძე,**
**ბ. ქორქია.**

## ბაქოს რინგზე

ბაქოში დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა კრივში ახალგაზრდათა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადისა და 15 მოკავშირე რესპუბლიკის 170 მოკრივე, მათ შორის 24 სპორტის ოსტატი. საინტერესო ბრძოლის შედეგად წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილზე არიან: მ. მუხა (უკრაინა), ო. გრიგორიევი (მოსკოვი), ა. ზასუხინი (ბელორუსია), ვ. კაკოშკინი (ლენინგრადი), ვ. ტარიმოვი (ყაზახეთი), ე. ტამულისი (ლიტვა), ბ. ლაგუტინი, ე. ფეოფანოვი, ვ. კრასილნიკოვი (ყველა მოსკოვიდან), ა. იზოსიმოვი (რსფსრ).

საინტერესოდ წარიმართა ფინალური შეხვედრა ვ. გრიგორიევსა და თბილისელ პირველთანრიგოსან ნ. ქიქავას შორის. ახალგაზრდა მოკრივემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ ოსტატს. გრიგორიევმა ძნელ გამარჯვებას მიაღწია და ქიქავა თავის წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გამოვიდა. აგრეთვე მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდის წარმომადგენელი დ. ჩოგოვაძე (ქვემძიმე წონა).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი წილად ხვდა ლენინგრადის გუნდს. მომდევნო ადგილებზე არიან ბელორუსიისა და მოსკოვის მოკრივეები. საქართველოს გუნდი მეხუთე ადგილზეა.

**გ. მელაძე,**
სპორტის ოსტატი.

## საქალაქო პირველობა

ტყიბულში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა კომკავშირის 40-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქალაქო პირველობა კალათბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების უძლიერესმა ვაჟთა გუნდებმა. დასაწყისიდანვე დაწინაურდა სტალინის სახელობის შახტის კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც თანაბარი სიძლიერით ჩაატარა ყველა შეხვედრა და დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი.

ერთი წაგებით მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინის სახელობის შახტის კალათბურთელთა გუნდი, ხოლო მესამეზე ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი.

**შ. მეხი,**
სპორტის ოსტატი

# XIII ოლიმპიადის გარშემო

მიუნჰენის საჭადრაკო ოლიმპიადამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს პრესაში. ეს არცაა გასაკვირი, რაკი ადრე მსგავსი მოცულობის არც ერთი ოლიმპიადა არ ყოფილა. მიუნჰენში თავი მოიყარა ჩვენი დროის თითქმის ყველა გამოჩენილმა მოჭადრაკემ, დაწყებული მსოფლიო ჩემპიონით და გათავებული საერთაშორისო ასპარეზზე ტუნისისა და ლიბანის ახალფეხადგმული მოჭადრაკეებით.

მრავალი ქვეყნის კორესპონდენტები და ფოტორეპორტიორები ბუზებივით თავს ეხვეოდნენ მოჭადრაკეებს. განსაკუთრებით უტევდნენ ისინი მსოფლიო ჩემპიონს. გროსმაისტერი ს. ფლორი გვიამბობს, რომ კორესპონდენტები თავიანთი შეკითხვებით ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდნენ ბოტვინიკს. მაგალითად, ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა მას: თქვენის აზრით რაა უფრო ძლიერი, მსოფლიო ჩემპიონის სახელი თუ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი? ბოტვინიკმა კარგად უპასუხა: „რაც არ უნდა იყოს, მეცნიერებათა დოქტორის სახელი უფრო სასიამოვნოა, რადგან იგი სამუდამოდ გენიჭება, მსოფლიო ჩემპიონობას კი არ იცი ვინ როდის წაგართმევს".

გაზეთები ბევრს წერდნენ ტურნირზე მომხდარ ამბავთა შესახებ. მათ ყველაზე მეტად „ამოიჩემეს" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მიხეილ ტალი. თამაშის სწრაფმა მანერამ, პაიკებისა და ფიგურების მოულოდნელმა შეწირვებმა და ა. შ. მას მრავალი თაყვანისმცემელი შესძინა. „ტალი — ქარიშხალი", „ტალი ბოტვინიკის მთავარი კონკურენტია", „ტალი — ცეცხლია" — ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული ათასგვარი საგაზეთო მიმოხილვები.

საერთოდ, ყურადღების ცენტრში იყვნენ საბჭოთა მოჭადრაკეები. უმრავლესობას, რასაკვირველია, სჯეროდა საბჭოთა გუნდის გამარჯვება, ვინაიდან მის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიოს უძლიერესი გროსმაისტერები. მარტო ის რად ღირს, რომ გუნდში ტალი და პეტროსიანი მხოლოდ სათადარიგონი იყვნენ. მაგრამ, როგორც ოლიმპიადის შემდეგ გამოირკვა, იუგოსლავიის მოჭადრაკეებს საბჭოთა გუნდის გასწრება ჰქონდათ გადაწყვეტილი. მით უმეტეს, რომ სტარტზე ჩვენი მოჭადრაკეები მკრთალად გამოდიოდნენ. თურმე, ამერიკელებსაც განუზრახავთ მსგავსი რამ. სინამდვილეში პირიქით მოხდა, თუმცა, ორივე გუნდთან ჩვენებმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. ყველა დიდი ინტერესით მოელოდა გროსმაისტერების მ. ბოტვინიკისა და ს. რეშევსკის შეხვედრას. როგორც ცნობილია, ამერიკელს პრეტენზიები აქვს მსოფლიო ჩემპიონობაზე და ახლა მას კარგი შესაძლებლობა ჰქონდა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა თავისი პრეტენზიების საფუძვლიანობა. მაგრამ შეხვედრა არ შედგა. რეშევსკი რელიგიური რწმენის გამო შაბათობით არ თამაშობს პირველი ვარსკვლავების გამოჩენამდე, ტური კი, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ აშშ-სა და საბჭოთა კავშირის გუნდები, დღისით დაიწყო. ს. რეშევსკის ნაცვლად პირველ დაფას მოუჯდა მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუკებს შორის ვ. ლომბარდი. ეს პარტია ყაიმით დამთავრდა.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა მეოთხედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა. ასეთი ტრიუმფი ამ ოციოდე წლის წინ ჰქონდათ ამერიკელებსაც, მაგრამ მაშინ საბჭოთა მოჭადრაკეები არ მონაწილეობდნენ პირველობებში. ამერიკელთა წარმომადგენლის აზრით მომავალ ოლიმპიადაზე ისინი ნამდვილად იბრძოლებენ პირველი ადგილისათვის. ჯერჯერობით ნაადრევია იმის თქმა, თუ რა მოხდება ორი წლის შემდეგ. დღეს კი საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნება გვხიბლავს თავისი მაღალმხატვრულობით, იდეურობით და უძლეველობით.

**თ. ნინოშვილი**

# ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

ამ დღეებში შედგა ფეხბურთში რესპუბლიკის ჩემპიონატის (პირველი ჯგუფი) მორიგი მატჩები. I-X ადგილისათვის მებრძოლ გუნდთა შეხვედრების შედეგები ასეთია:

ქუთაისში ადგილობრივმა „ტორპედომ" მიიღო მახარაძის „კოლმეურნე". თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ, მეორე ნახევარში ქუთაისელებმა გაიტანეს ორი ბურთი, ხოლო სტუმრებმა — ერთი. მატჩის საბოლოო შედეგია 2:1.

ჭიათურაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მაღაროელი" და ლანჩხუთის „კოლმეურნე". პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილ იქნა თითო ბურთი — 1:1. შესვენების შემდეგ ლანჩხუთელებმა ანგარიში სამამდე გაზარდეს, რასაც მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს და მატჩი მოიგო „კოლმეურნემ" — 3:2.

მახარაძეში ადგილობრივმა „კოლმეურნემ" ფრედ დაამთავრა შეხვედრა ჭიათურის „მაღაროელთან" — 1:1. ასეთივე ანგარიშით აღინიშნა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრაც. ფრედ დამთავრდა (2:2) ლანჩხუთის „კოლმეურნისა" და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა მატჩი.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა თავის მოედანზე მიიღო რუსთავის „მეტალურგი". სტუმრებმა გახსნეს ანგარიში... საკუთარ კარში ბურთის გატანით, მაგრამ პირველი ნახევრის დამთავრებამდე მათ კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს — ამჯერად მოწინააღმდეგის კარში. მეორე ნახევარში უპირატესობა მთლიანად ტრამვაელთა მხარეს გადავიდა, რომლებმაც ანგარიში ოთხამდე გაზარდეს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 4:1.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და სოხუმის „დინამო". პირველი ტაიმი მოიგეს სტუმრებმა — 2:0, ხოლო მეორე — ქუთაისელებმა — 2:1. ამრიგად, შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 3:2 სოხუმის „დინამოს" სასარგებლოდ.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა ანგარიშით 5:1 დაამარცხა მახარაძის „კოლმეურნე", ხოლო ქუთაისის „ტორპედომ" და თბილისის ტტს-მა ითამაშეს ფრედ — 0:0.

სოხუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ჭიათურის „მაღაროელი". მატჩის პირველი ნახევარი აღინიშნა დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობით, რომლებმაც მოიგეს ტაიმი — 1:0. მეორე ტაიმში სოხუმელებმა მოწინააღმდეგის კარში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, თავისაში კი მიიღეს მხოლოდ ერთი. შეხვედრა მოიგო „დინამომ" — 3:1.

მახარაძეში ადგილობრივმა „კოლმეურნემ" ძლიერად ჩაატარა შეხვედრა ბათუმის „დინამოსთან" და მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება 3:1. ლანჩხუთის „კოლმეურნემ" დამარცხება განიცადა რუსთავის „მეტალურგისაგან" — 1:2.

* * *

მოგვყავს XI-XX ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეხვედრათა ტექნიკური შედეგები:

26 კომ. სახ. რ-ნი (თბილისი)-„სპარტაკი" (თელავი) — 6:0, „განთიადი" (ფოთი)-„დინამო" I (თბილისი) — 4:2, „სპარტაკი" (სტალინირი)-„კოლმეურნე" (ქობულეთი) — 5:1, „ოდიში" (ზუგდიდი)-„ლოკომოტივი" (სამტრედია) — 3:3, „სხივი" (რუსთავი)-„განთიადი" (გორი) — 3:3, „სპარტაკი" (თელავი)-„სხივი" (რუსთავი) — 0:1, „დინამო" I (თბილისი)-26 კომ. სახ. რ-ნი (თბილისი) — 1:2, „კოლმეურნე" (ქობულეთი)-„განთიადი" (ფოთი) — 1:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია)-„სპარტაკი" (სტალინირი) — 3:2, „განთიადი" (გორი)-„ოდიში" (ზუგდიდი)—0:0.

### ფეხბურთში საქართველოს 1958 წლის პირველობის გათამაშების დარჩენილი თამაშების კალენდარი

I ჯგუფი 1-10 ადგილი

ნოემბერი

5. „მაღაროელი" (ჭიათურა)-„დინამო" (ბათუმი), „დინამო" (სოხუმი)-„დინამო" (ქუთაისი).

8. ტრამვაი-ტროლ. სამმ. (თბილისი)-„დინამო" (ბათუმი), „მაღაროელი" (ჭიათურა)-„დინამო" (ქუთაისი), „კოლმეურნე" (მახარაძე)-„დინამო" (სოხუმი).

11. „მეტალურგი" (რუსთავი)-„დინამო" (ბათუმი), „დინამო" (სოხუმი)-ტრამვაი-ტროლ. სამმ. (თბილისი). „დინამო" (ქუთაისი)-„ტორპედო" (ქუთაისი).

15. „დინამო" (ბათუმი)-„კოლმეურნე" (ლანჩხუთი), „დინამო" (ქუთაისი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

19. „დინამო" (ბათუმი)-„ტორპედო" (ქუთაისი), ტრამვაი-ტროლ. სამმ. (თბილისი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

23. „დინამო" (სოხუმი)-„დინამო" (ბათუმი).

შენიშვნა: თამაშები ტარდება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

### გათამაშების ცხრილი

IV ზონა

მდგომარეობა 30 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ერევანი) | 30 | 17 | 9 | 4 | 47:15 | 43 |
| სკვო (როსტოვი) | 30 | 18 | 7 | 5 | 72:24 | 43 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 30 | 18 | 5 | 7 | 60:34 | 41 |
| „ლოკომოტივი" (ქუთაისი) | 30 | 17 | 6 | 7 | 66:38 | 40 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 30 | 14 | 10 | 6 | 57:36 | 38 |
| სკვო (თბილისი) | 30 | 15 | 5 | 10 | 51:40 | 35 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 29 | 12 | 9 | 8 | 46:39 | 33 |
| „თერგი" (გროზნო) | 30 | 14 | 5 | 11 | 46:49 | 33 |
| „ლოკომოტივი" (სტალინო) | 30 | 12 | 6 | 12 | 53:54 | 30 |
| „შახტიორი" (კადიევკა) | 30 | 10 | 9 | 11 | 40:38 | 29 |
| „შახტიორი" (შახტი) | 30 | 8 | 7 | 15 | 29:44 | 23 |
| „სპარტაკი" (სტავროპ.) | 30 | 6 | 11 | 13 | 32:56 | 23 |
| „მეტალურგი" (სტალინგ). | 30 | 9 | 5 | 16 | 28:52 | 23 |
| „შირაქი" (ლენინაკანი) | 30 | 8 | 3 | 19 | 22:44 | 19 |
| „ტემპი" (მახაჩ-ყალა) | 30 | 5 | 5 | 20 | 25:57 | 15 |
| „ტრუდი" (ასტრახანი) | 29 | 4 | 2 | 23 | 24:77 | 10 |

## სსრ კავშირის თასზე

⊙ მოსკოვი. 27 ოქტომბერი. აქ შედგა მეორე ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ლოკომოტივი" (მოსკოვი)-„ტორპედო" (მოსკოვი).

თამაშის 90 წუთი დამთავრდა ფრედ — 1:1. დამატებით დროში, საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე ტორპედოელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ამრიგად, 2 ნოემბერს ფინალში ერთმანეთს ხვდებიან „ტორპედო" (მოსკოვი)-„სპარტაკი" (მოსკოვი).

## ალპინიადა — დედაქალაქის იუბილეს

1958 წლის 5 ოქტომბერს მდინარე ხდის და თერგის შეერთების ადგილას თბილისელ ახალგაზრდა მთამსვლელთა ბანაკი გაიშალა. ქ. თბილისის V ტრადიციულ ალპინიადაში 160 მონაწილე ითვლებოდა. 7 ოქტომბერს ლაშქრობის მონაწილენი ალპინიადის საბაზო ბანაკში — მარწყვის ჭალაში დაბანაკდნენ. ეს ჭალა ყოველმხრივ შემოჯარულია აღმოსავლეთ კავკასიონის მუდმივთოვლიანი მწვერვალებით. აქ აღმართულან 4000 მეტრისა და მეტი სიმაღლის მწვერვალები: რუსთავი, ძნელაძე, წერეთელი, ჭავჭავაძე, ჯაფარიძე, გორი, ყურო, შინო, შანი და სხვები.

7, 8 და 9 ოქტომბერს ახალბედა მთამსვლელები გადიოდნენ გეგმით გათვალისწინებულ წვრთნას ალპინიზმის ტექნიკაში, გამოცდილი ინსტრუქტორების ზედამხედველობის ქვეშ. ყოველი მონაწილე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობდა და მონდომებით ითვისებდა ყოველივეს, რათა დედა თბილისის იუბილესა და ალკკ 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ალპინიადა წარმატებით ჩატარებულიყო.

იმ დროს, როცა ახალბედა მთამსვლელები ღელვით ელოდნენ თავიანთ პირველ იერიშს, თანრიგოსნები ემზადებოდნენ უფრო რთული მწვერვალების დასალაშქრავად.

10 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე ბანაკი ხმაურით აიშალა და 140 მონაწილე ალპინიადის უფროსის, სპორტის ოსტატ დ. ობოლაძის, სასწ. ნაწილის უფროსის [illegible] კაპანაძის და ინსტრუქტორების: თ. კუხიანიძის, რ. [illegible] გაძის, ა. ძიძიგურის, [illegible]ძის, კ. დევაძის, ვ. ქორიკაშვილის ნ. ქადეიშვილის, ვ. თევდორაშვილისა და გ. როსტომაშვილის ხელმძღვანელობით ღამის წყვდიადში გაემართა მწვერვალ ყუროს საიერიშოდ. 10 საათის დაძაბული სვლის შემდეგ 138-მა მონაწილემ ფეხი შედგა 4100 მეტრის სიმაღლის ყუროს მწვერვალზე. საღამოსათვის მოიერიშენი ბანაკში იყვნენ. უფროსი ამხანაგები, თანრიგოსნები სიხარულით ულოცავდნენ მათ პირველ გამარჯვებას.

11 ოქტომბერი. ნიშნოსანთა ჯგუფი 35 კაცის შემადგენლობით გაემართა მწვერვალ გორის დასალაშქრავად. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ა. ძიძიგური. საღამოს 10 საათზე ეს ჯგუფი გამარჯვებული დაბრუნდა საბაზო ბანაკში. ამავე დღეს თანრიგოსანთა 21-კაციანი ჯგუფი სპორტის ოსტატ დ. ობოლაძის ხელმძღვანელობით გავიდა ძნელაძის, რუსთავის, ჭავჭავაძის, წერეთლისა და ჯაფარიძის მწვერვალების დასაპყრობად.

ამ ჯგუფმა შებინდებისას გაშალა პატარა ბანაკი მწვერვალ რუსთავიდან ჩამომდინარე ყინვარზე და ღამე იქ გაათია.

დილის 7 საათზე 12 მონაწილემ დაიწყო ძნელაძის მწვერვალის შტურმი. ამ მწვერვალზე 1933 წელს, ალკკ 20 წლისთავთან დაკავშირებით, პირველად ავიდა ოთხი მთამსვლელი კ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით და მას პირველ ამსვლელთა უფლებით ეწოდა საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის — ბორის ძნელაძის სახელი. იმ ჯგუფის შემადგენლობაში მაშინ დ. ობოლაძეც შედიოდა.

და აი, ახლა, 20 წლის შემდეგ, 12 ახალგაზრდა მთამსვლელთან ერთად დ. ობოლაძემ კვლავ შედგა ფეხი ძნელაძის მწვერვალზე.

თანრიგოსანთა ჯგუფმა 8 კაცის შემადგენლობით სამ დღეში დალაშქრა აგრეთვე მწვერვალები: რუსთავი, ჭავჭავაძე, წერეთელი და ჯაფარიძე.

15 ოქტომბერს მთამსვლელები დედაქალაქს დაბრუნდნენ.

ო. დემეტრაძე

## პრეტენდენტთა გამოსავლენად

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „ბ" კლასის IV ზონაში პირველი ადგილის გამოსარკვევად უნდა შედგეს დამატებითი მატჩი ერევნის „სპარტაკისა" და როსტოვის სკვო-ს ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

მატჩი, რომელმაც უნდა გამოავლინოს „ა" კლასის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე IV ზონიდან, შედგება თბილისში 2 ნოემბერს. „ბ" კლასის ზონებში გამარჯვებული გუნდების გათამაშება ჩატარდება აგრეთვე თბილისში 5-20 ნოემბერს.

## „კუნთოვანი მთები"

მრავალი საუკუნის წინათ მზე, რომელიც ალერსით აფრქვევდა სხივებს იაპონიის მიწას, უცებ გაუწყრა მის მკვიდრთ, უზარმაზარ გამოქვაბულში დაიმალა და ყრუ დარჩა იაპონელთა ხვეწნა-მუდარის წინაშე. მრავალგვარი საშუალება იხმარეს, ოღონდ კი მზე გამოეტყუებინათ თავისი სამალავიდან. მაგრამ ამაოდ! და აი, ვიღაცამ მოიფიქრა, მოეწყო შეჯიბრება იაპონიის პოპულარულ ჭიდაობა „სუმოში". მოჭიდავენი იმდენად სრულყოფილნი და უნაკლონი იყვნენ, ჭიდაობა კი — იმდენად საინტერესო, რომ მზემ გამოქვაბულიდან გამოიხედა, რათა დამტკბარიყო შეჯიბრების ცქერით. სწორედ ამ წუთს ელოდნენ იაპონელები; მათ წამსვე ამოქოლეს გამოქვაბულის შესასვლელი.

ეს ძველი ხალხური ლეგენდა უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის იაპონურ ჭიდაობას და იმის მიზეზადაც კი ჩაითვლება, რომ „აყვავებული ალუბლის ქვეყნის" თითქმის ყველა მცხოვრები ამ სპორტული ასპარეზობის დიდი მოყვარულია. თვით ჭიდაობა მეტად სპეციფიკურია, მიმდინარეობს ძალზე საინტერესოდ და ისეთი წესები გააჩნია, რომელსაც იშვიათად თუ სადმე შეხვდებით.

ჭიდაობა „სუმოს" იწყებენ მრავალწლიანი ვარჯიშის შემდეგ. ახალგაზრდა იაპონელი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ხელი მოკიდოს სპორტის ამ სახეობას, იწყებს... ნოყიერი დიეტით, რასაც წონაში სწრაფი მომატება მოჰყვება, რადგან ნურავინ იფიქრებს წარმატებაზე „სუმოში", თუ არ იწონის სულ ცოტა ას კილოგრამს მაინც. ასე რომ, საჭიროა ქონის დადება და ამასთან, ისეთი სახის ვარჯიში, რომელიც ადამიანს განუვითარებს სისწრაფეს, გახდის მოხერხებულსა და მარდს. ამგვარად სუქდებიან „სუმოს" ახალგაზრდა მოყვარულნი, ზედიზედ ნთქავენ ბრინჯით სავსე ჯამებს, შემწვარ თევზს, ან ხორცს, პარალელურად კი იწვრთნებიან რბენაში, ხტომაში, უპირატესად იმ სახის ვარჯიშს მისდევენ, რომელიც ანვითარებს კუნთებს, განსაკუთრებით მუცლის კუნთებს, რომ ადვილად გაუძლონ მოწინააღმდეგის ძლიერ დაჯახებას.

როგორც ვთქვით „სუმოს" მიმდევრები საასპარეზოდ მრავალი წლის განმავლობაში ემზადებიან, თუმცა თვით ჭიდაობა ძლივს გრძელდება რამდენიმე ათეულ წამს, რადგან წესი ჭიდაობის მარტივია — იმარჯვებს ის, ვინც პირველი გააგდებს მოწინააღმდეგეს დატკეპნილ მიწაზე შემოხაზული მცირე დიამეტრის მქონე წრის იქით. ამიტომაა საჭირო ელვისებური იერიში და სხეულის უზარმაზარი წონა. საკმარისია მოწინააღმდეგემ ოდნავ მაინც დაკარგოს წონასწორობა, რომ მისი წრიდან გაყვანა სიძნელეს აღარ წარმოადგენს.

„სუმოს" მოჭიდავენი ხშირ შემთხვევაში არაჩვეულებრივ ფსევდონიმებს ატარებენ, მაგალითად „დიადი შუქი", ან „მდინარის ანკარა წყალი", ამ ფსევდონიმს კი ბოლოში უმატებენ სიტყვას — „იამა", რაც „მთას" ნიშნავს. სინამდვილეში ისინი მართლაც არიან კუნთოვანი მთები, უზარმაზარი წონისა და დიდი ლონის ადამიანები, რომელთა მსგავსს იშვიათად შეხვდებით. მათ შორის ხშირად ნახავთ ორი მეტრის სიმაღლის მოჭიდავეს, წონით 180 კილოგრამამდე. სანდო წყაროები გვამცნობენ, რომ 1650 წელს ცნობილი მოჭიდავე, რომელმაც „სუმოს დიდი ოსტატის" სახელი მოიხვეჭა, იწონიდა 185 კილოგრამს და იყო 225 სანტიმეტრი სიმაღლისა.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ".

პოლონურიდან თარგმნა

კარმენ მლინეკმა

⊙ ბოლონია. დამთავრდა იტალიის 1958 წლის პირველობა ჩოგბურთში. ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა ნ. პიეტრანჯელიმ, ქალთა შორის — ლეა პერიკოლიმ.

⊙ მელბურნი. მსოფლიო რეკორდსმენმა 1.500 მეტრზე და 1 მილზე რბენაში ჰ. ელიოტმა (ავსტრალია) ოფიციალურად განაცხადა, რომ უარს ამბობს ამერიკელთა წინადადებაზე პროფესიონალთა რიგებში გადასვლის შესახებ და გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს რომის ოლიმპიურ თამაშებში.

⊙ ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრა კრივში მოიგეს გერმანელებმა — 12:8.

⊙ პალერმო. ევროპის პირველობა ცხენოსნობაში (კონკურ-იპიკი) ქალთა შორის მოიგო ცნობილმა იტალიელმა ცხენოსანმა ჯულია სერვენტიმ.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის 3 89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

8 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06659